სამაგისტრო პროგრამის დასახელება

კლინიკური ნეიროფსიქოლოგია (Clinical neuropsychology).

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

მეცნიერების მაგისტრი ფსიქოლოგიაში (კლინიკური ნეიროფსიქოლოგია) – MSc in Psychology (Clinical Neuropsychology).

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნეირო- და კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორი, თამარ გაგოშიძე.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სამაგისტრო პროგრამაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ პირებმა, ვისაც აქვს:

- ➢ ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, მედიცინაში, ბიოლოგიაში.

კრედიტი შემდეგ კურსებში:

- კოგნიტური ფსიქოლოგია
- ნეიროფსიქოლოგია
- სტატისტიკური მეთოდები.

- ➢ ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეზე.

სამაგისტრო პროგრამაში ჩასარიცხად აუცილებელია:

- *მისაღები ტესტური გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში*
- *სამოტივაციო წერილის წარდგენა.*

სამაგისტრო პროგრამის მიზანი: *თეორიული ცოდნის შეძენა და სისტემატიზაცია ნეიროფსიქოლოგიის ისეთ სფეროებში, როგორიცაა კლინიკური, ბავშვის და კოგნიტური ნეიროფსიქოლოგია; პრაქტიკული ჩვევების დაუფლება ბავშვის და მოზრდილის ნეიროფსიქოლოგიურ შეფასებაში, კონსულტაციასა და რეაბილიტაციაში.*

სამაგისტრო პროგრამის ამოცანები:

➲ **ცოდნა:**

- კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში;
- ბავშვის ნეიროფსიქოლოგიაში;
- ბავშვის კლინიკურ ფსიქოლოგიაში;
- ნეიროფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში;
- კლინიკური ექსპერიმენტული კვლევის მეთოდოლოგიაში;
- კოგნიტურ ნეიროფსიქოლოგიაში.

➲ **დიაგნოსტიკა და შეფასება:**

- ბავშვების და მოზრდილების ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევის დაგეგმვა და ჩატარება;

- ბავშვისა და მოზრდილების ინტელექტის, პიროვნების, ქცევისა და უნარების დიაგნოსტიკა;
- ბავშვების და მოზრდილების ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება და ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია;
- კლინიკური ინტერვიუ;
- ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევის ანგარიშის დაწერა.

➲ **ფსიქოლოგიური კონსულტაცია:**

- მშობლების კონსულტაცია ბავშვის ქცევისა და სწავლის პრობლემებთან დაკავშირებით;
- მასწავლებლების კონსულტაცია ბავშვის სწავლებისა და ქცევის მართვის პრობლემებთან დაკავშირებით.
- ქრონიკული ნერვული დაავადების მქონე პაციენტის ოჯახის კონსულტაციის პრინციპების ცოდნა და გამოყენება.

➲ **კვლევა:**

- კლინიკური ექსპერიმენტული კვლევის პრაქტიკული ჩვევების შეძენა;
- ექსპერიმენტული კვლევის დაგეგმვა კლინიკური მიზნებიდან გამომდინარე;
- კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის პარადიგმების გამოყენება კვლევაში და მათი ექსპერიმენტული შემოწმება;
- კვლევის შედეგების ანალიზი, განზოგადება და დასკვნის გაკეთება.

➲ **ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და თერაპია:**

- ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის დაგეგმვა პაციენტის მონაცემების საფუძველზე;

თამაშით თერაპიის პრინციპების გამოყენება ბავშვებთან

კვალიფიკაციის ზოგადი დახასიათება და დასაქმების სფეროები:

ნეიროფსიქოლოგიის დარგში კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა და წარმოება, ბავშვთა და მოზრდილთა ნეიროფსიქოლოგიური შეფასება, ოჯახის და ინდივიდუალური კონსულტაცია, რეაბილიტაციის დაგეგმვა და განხორციელების პრინციპების ცოდნა.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ:

- სადოქტორო პროგრამის გაგრძელების შესაძლებლობა;
- მუშაობის შესაძლებლობა დიაგნოსტიკურ ცენტრში, სომატურ, ფსიქიატრიულ და ნევროლოგიურ კლინიკაში, პირველადი ჯანდაცვის რგოლში, სოც. უზრუნველყოფის სისტემაში, სკოლაში.